

დავალებათა აღწერილობა

სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციების (PPI) კომპონენტის ფარგლებში შერჩეული 3 კომპანიის ობიექტისთვის გაზომმარაგების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

1. შესავალი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის მიზანია მოახდინოს სახსრების მობილიზება სხვადასხვა საერთაშორისო დონორებისა და საქართველოს ფინანსური ორგანიზაციებისაგან, რათა ხელმისაწვდომი გახადოს ამ სახსრების ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში ინვესტირება. ამავდროულად, ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერებას. ფონდის პროგრამებით გათვალისწინებულია სხვადასხვა პროექტების განხორციელება.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში - ფონდი) ახორციელებს რეგიონული განვითარების პირველ მესამე და რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტებს.

აღნიშნული პროექტები ითვალისწინებს სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობის კომპონენტს (PPI). კერძო ინვესტიციის წახალისების მიზნით, საქართველოს მთავრობა მსოფლიო ბანკთან ერთად ეხმარება კერძო მეწარმეებს განახორციელონ ინვესტიცია ტურიზმისა და აგრობიზნესის სექტორში. საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა განისაზღვრება არა უშუალოდ ბიზნეს პროექტის დაფინანსებით, არამედ მათთვის მომიჯნავე მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწყობით.

სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციების (PPI) კომპონენტის ფარგლებში დონორთან შეთანხმებით განსაზღვრულია შემდეგი კომპანიების ხელშეწყობა: შპს სევსამორა-ს გასართობ გამაჯანსაღებელი სასტუმროსთვის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. საგურამოში, შპს ვარციხის მარანი-სთვის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ვარციხეში და შპს ვილა იყალთო ჰორეკა სასტუმრო სავანეთი-სვის თელავის მუნიციპალიტეტში სოფ. იყალთოში გაზომმარაგების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

წინამდებარე ტექნიკური დავალება მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებას ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის და დეტალური საინჟინრო პროექტის მოსამზადებლად აღნიშნული ქვეპროექტისათვის.

2. ობიექტების მოკლე აღწერა

შპს სევსამორა-ს, გასართობ გამაჯანსაღებელი სასტუმროს ობიექტი მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. საგურამოში, არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, მისამართი: მცხეთა, სოფელი საგურამო, ბოლოთაშვილის ატმიანის ჩრდილოეთით, საკადასტრო კოდი: 72.06.05.608. გაზომმარაგების ინფრასტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს ობიექტის საათში 250 კუბ.მ გაზით მომარაგება.

შპს ვარციხის მარანი-ს (სასტუმრო/ღვინის წარმოება) ობიექტი მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ვარციხეში, მისამართი: რაიონი ბაღდათი, სოფელი ვარციხე, საკადასტრო კოდი: 30.03.43.025. გაზომმარაგების ინფრასტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს ობიექტის საათში 80 კუბ.მ გაზით მომარაგება.

შპს ვილა იყალთო ჰორეკა-ს სასტუმრო სავანეთი-ს ობიექტი მდებარეობს თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. იყალთოში მისამართი: თელავი, სოფელი იყალთო, საკადასტრო კოდი: 53.12.36.010. გაზომმარაგების ინფრასტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს ობიექტის საათში 80 კუბ.მ გაზით მომარაგება.

3. დავალების მიზანი

საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს საველე-სადიებო და კამერალურ სამუშაოებს. საწყის ეტაპზე უნდა ჩატარდეს ტერიტორიის გაზომმარაგების მიერთების ადგილიდან მომხმარებელამდე უმოკლესი ტრასის შერჩევა და შესწავლა როგორც საკუთრების ასევე სამშენებლო სამუშაოების გამარტივების მიზნით, ასევე საპროექტო ტერიტორიის ტოპოგეოდეზიური და საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა.

კვლევების შედეგების საფუძველზე გაზომმარაგების პროექტის მომზადება, კერძოდ: მიერთების ადგილების შერჩევა გაზსადენის მაგისტრალის დადგენა მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების გათვალისწინებით საჭიროების შემთხვევაში გაზგამანაწილებელი კვანძის მოწყობით. გაზომმარაგების ტრასის ტოპო გეოდეზიური რუკის მომზადება მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების დაშვებით და შესაბამისი მაგისტრალური მილის ტრასის დადგენა-შესწავლა; საპროექტო ტერიტორიის და მაგისტრალური გაზსადენის მილის ტრასის გასწვრივ საკადასტრო ერთეულების და წითელი ხაზების დატანა, დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სატენდერო მასალების მომზადება.

სამუშაო პროცესში ჩართული უნდა იქნას შესაბამისი მუნიციპალიტეტები.

4. მომსახურების აღწერა

4.1 გაზომმარაგება

1. გაზომმარაგების ტრასის საინჟინრო ტოპოგრაფიული და გეოლოგიური დახასიათება;
2. საჭიროების შემთხვევაში გაზგამანაწილებელი და გაზის სარეგულაციო კვანძების მოწობა.

4.2 გაზომმარაგების მაგისტრალური და გამანაწილებელი კვანძის დამატებითი მოთხოვნები

1. გაზომმარაგების მიერთების ადგილის და მაგისტრალური მილსადენის ტრასის დაგეგმვა, ტოპო გადაღება მაშტაბით არაუმეტეს 1:1000, გარე საინჟინრო კომუნიკაციის კიდიდან არანაკლებ 15 მ-ისა, საკადასტრო ერთეულების აღწერა ტოპო რუკაზე და წითელი ხაზების დატანა საკადასტრო კოდის ჩვენებით.
2. სიტუაციური გეგმა, არაუმეტეს მ. 1:1000;
3. ტერიტორიის გენერალური გეგმა, მ. 1:200; არსებული საინჟინრო მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების და საპროექტო ნაგებობების დატანით;
4. გაზომმარაგების მიერთების ადგილის და მაგისტრალური გაზომმარაგების მილსადენის განივი, გრძივი პროფილების დაპროექტება და სამუშაოთა მოცულობის უწყისის შედგენა;
5. საჭიროების შემთხვევაში, საინჟინრო და ხაზოვანი ნაგებობების დეტალური სამშენებლო ნახაზების გეგმების, გრძივი და განივი ჭრილების და კვანძების დამუშავება, სამშენებლო მოცულობების უწყისების მომზადება.

6. განმარტებითი ბარათი; რომელიც უნდა მოიცავდეს არსებული სიტუაციის აღწერას, გაზომვარაგების განსაზღვრას, მაგისტრალური მილსადენის გასწვრივ გეოლოგიურ კვლევას და საპროექტო გადაწყვეტებს
7. ტექნოლოგიური და კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (მ 1:100, 1:50, 1:25);
8. სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი, სამშენებლო მექანიზმების რაოდენობის განსაზღვრა და სამუშაოს ჩატარების კალენდარული და სავარაუდო ფინანსური გრაფიკები;
9. მასალების და ნაკეთობების სპეციფიკაცია.
10. ჩასატარებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა (რესურსული და გამსხვილებული სატენდერო ფორმით).
11. ზოგადი და დეტალური სპეციფიკაციების მომზადება.
12. გარემოსდაცვითი მართვის გეგმა.

პროექტის განმარტებით ბარათში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი არსებული მდგომარეობა და საპროექტო გადაწყვეტილებები (უნდა დაერთოს საჭირო ანგარიშები, სქემები, ცხრილები, ფოტომასალა, ვიდეომასალა და ა.შ.), მოცემული უნდა იყოს გაზომვარაგების განსაზღვრა და საპროექტო მაგისტრალური გაზომვარაგების მილის ტრასის უმოკლესი მანძილის შერჩევა, წარმოდგენილი უნდა იქნეს გეოლოგიური კვლევა ძიების დასკვნა შესაბამისი გეოლოგიური რუკების და ჭრილების ჩვენებით, სამუშაოთა ჩამონათვალი, მოცულობები და მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები, საორიენტაციო კალენდარული გრაფიკი, გარემოსდაცვითი ნაწილი. მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები, წესები და გაანგარიშების მეთოდები.

ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა მოიცავდეს კონტრაქტორისათვის (სამშენებლო ტენდერში მონაწილეობისათვის) ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალებისთვის, სამუშაოთა შესრულების მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისთვის.

პროექტის გრაფიკული ნაწილი (როგორც სამშენებლო, ასევე სატენდერო ნახაზები) შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბებში და დეტალიზაციით.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ ფორმატში.

მიმწოდებელი (კონსულტანტი) ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა მშენებლობის პროცესში, საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში და, საჭიროების შემთხვევაში, მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება - შეთანხმებაში.

საპროექტო და არსებული მდგომარეობის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილ იქნას რეგისტრირებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის გეგმა საკადასტრო საზღვრების და კოდის მითითებით.

5. კონსულტანტის ექსპერტები და გამოცდილება:

კონსულტანტმა დავალებით გათვალისწინებული მომსახურების მაღალ დონეზე შესასრულებლად უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების მობილიზება (როგორც ძირითადი სპეციალისტების, ასევე დამხმარე ტექნიკური პერსონალის). ყველა ძირითად ექსპერტს უნდა გააჩნდეს 5 წლიანი მსგავსი გამოცდილება.

კონსულტანტს 2013 წლის 1 იანვრიდან ინტერესის გამოხატვის წარდგენის ბოლო ვადამდე წარმატებით უნდა ჰქონდეს შესრულებული (დასრულებული) გაზომვარაგების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების სულ მცირე 3 ანალოგიური კონტრაქტი.

მოთხოვნილი ექსპერტების ჩამონათვალი, საკონსულტაციო მომსახურებაში მათი ჩართულობა და მინიმალური მოთხოვნილი გამოცდილება:

	ექსპერტის პოზიცია	რაოდენობა	ჩართულობა/კაც-თვე	ჯამური კაც-თვეები
ძირითადი ექსპერტები				
1.	ჯგუფის უფროსი	1	2	2
2.	გაზომვარაგების ინჟინერი	1	2	2
3.	გეოლოგი	1	0.2	0.2
4.	გეოდეზისტი	2	2	4
ძირითადი ექსპერტები: 8.2 კაც-თვე				
არაძირითადი ექსპერტები				
1.	ხარჯთაღმრიცხველი	1	1	1
2.	გარემოს დაცვის სპეციალისტი	1	0.5	0.5
3.	გეო - საინფორმაციო სისტემის სპეციალისტი (GIS-ს სპეციალისტი)	1	0.2	0.2
4.	მხაზველი	2	2	4
არაძირითადი ექსპერტები: 5.7 კაც-თვე				
სულ: 13.9 კაც-თვე				

ძირითადი ექსპერტების საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერა

სპეციალიზაცია	გამოცდილება მითითებულ დარგში (წლები)	სპეციალიზაციის სფერო, კვალიფიკაცია
ჯგუფის უფროსი	5	გაზომვარაგების სიტემების პროექტირების მართვა, ანალოგიური მასშტაბისა და ტიპის პროექტების განხორციელების გამოცდილება (საპროექტო მომსახურება); საჭირო მინიმალური ხარისხი: ბაკალავრი გაზომვარაგების სფეროში;
გაზომვარაგების ინჟინერი	5	გაზომვარაგების პროექტირების მართვა, ანალოგიური მასშტაბისა და ტიპის პროექტების განხორციელების გამოცდილება (საპროექტო მომსახურება);

		საჭირო მინიმალური ხარისხი: ბაკალავრი გაზომომარაგების სფეროში;
გეოლოგი	5	გეოლოგიური კვლევების და გეოლოგიური დასკვნების მომზადება, ანალოგიური მასშტაბისა და ტიპის პროექტების განხორციელების გამოცდილება (საპროექტო მომსახურება); საჭირო მინიმალური ხარისხი: ბაკალავრი გეოლოგიის სფეროში;
გეოდეზისტი	5	სამოქალაქო მშენებლობა - მიწის კვლევა, ტოპოგრაფია და გეოდეზია და მსგავსი მასშტაბის და ტიპის პროექტის განხორციელების გამოცდილება (საპროექტო მომსახურებები), საჭირო მინიმალური ხარისხი: - ბაკალავრის ხარისხი ტოპოგრაფიაში/გეოდეზიაში.

6. ანგარიშგება და განრიგი

დავალების დაწყებიდან 2 კვირის ვადაში კონსულტანტი წარუდგენს მგფ-ს შესათანხმებლად დეტალური პროექტის **საწყის ვარიანტს შპს ვილა იყალთო ჰორეკა-ს სასტუმრო სავანეთი-სთვის**. მგფ 1 კვირის განმავლობაში მიაწვდის კონსულტანტს შენიშვნებსა და კომენტარებს პროექტთან დაკავშირებით.

კონსულტანტი ვალდებულია, მგფ-ის კომენტარების მიღებიდან 1 კვირის განმავლობაში, შეიტანოს სათანადო ცვლილებები პროექტში და პროექტის **საბოლოო ვარიანტი შპს ვილა იყალთო ჰორეკა-ს სასტუმრო სავანეთი-სთვის**, ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლასა და სატენდერო მასალებთან ერთად წარუდგინოს დამკვეთს.

პროექტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენიდან 1 კვირის განმავლობაში კონსულტანტი წარუდგენს მგფ-ს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან პროექტის შეთანხმების დოკუმენტს.

კონსულტანტმა დამკვეთს უნდა გადასცეს ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის **საბოლოო ანგარიში**, დეტალური პროექტი და სატენდერო მასალები დაბეჭდილი სამ ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენაზე.

დავალების დაწყებიდან 6 კვირის ვადაში კონსულტანტი წარუდგენს მგფ-ს შესათანხმებლად დეტალური პროექტის **საწყის ვარიანტს წინამდებარე დავალებათა აღწერილობით განსაზღვრული **დანარჩენი ობიექტებისთვის****. მგფ 1 კვირის განმავლობაში მიაწვდის კონსულტანტს შენიშვნებსა და კომენტარებს პროექტთან დაკავშირებით.

კონსულტანტი ვალდებულია, მგფ-ის კომენტარების მიღებიდან 1 კვირის განმავლობაში, შეიტანოს სათანადო ცვლილებები პროექტში და პროექტის **საბოლოო ვარიანტი დანარჩენი ობიექტებისთვის** ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლასა და სატენდერო მასალებთან ერთად წარუდგინოს დამკვეთს.

პროექტის საბოლოო ვარიანტის წარმოდგენიდან 1 კვირის განმავლობაში კონსულტანტი წარუდგენს მგფ-ს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან პროექტის შეთანხმების დოკუმენტს. კონსულტანტმა დამკვეთს უნდა გადასცეს ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის **საბოლოო ანგარიში**, დეტალური პროექტი და სატენდერო მასალები დაბეჭდილი სამ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.

წარმოდგენილ მასალებს თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსია (ტექსტური ნაწილი Word და Excel ფაილების სახით, ხოლო ნახაზები - AutoCAD ან ArchiCAD და PDF ფორმატში).

წარმოსადგენი ანგარიშები	ეგზემპლარების რაოდენობა	წარმოდგენის ვადა
ანგარიში N1 დეტალური პროექტის საწყის ვარიანტი შპს ვილა იყალთო ჰორეკა-ს სასტუმრო სავანეთი-სთვის.	1	მომსახურების დაწყებიდან 2 კვირის ვადაში.
ანგარიში N2 დეტალური პროექტის საბოლოო ვარიანტი შპს ვილა იყალთო ჰორეკა-ს სასტუმრო სავანეთი-სთვის.	3	მომსახურების დაწყებიდან 4 კვირის ვადაში.
ანგარიში N3 ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან შპს ვილა იყალთო ჰორეკა-ს სასტუმრო სავანეთი-ს დეტალური პროექტის შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი.	1	მომსახურების დაწყებიდან 5 კვირის ვადაში.
ანგარიში N4 დეტალური პროექტის საწყის ვარიანტი დანარჩენი ობიექტებისთვის	1	მომსახურების დაწყებიდან 6 კვირის ვადაში.
ანგარიში N5 დეტალური პროექტის საბოლოო ვარიანტი დანარჩენი ობიექტებისთვის	3	მომსახურების დაწყებიდან 8 კვირის ვადაში.
ანგარიში N6 ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან დანარჩენი ობიექტების საბოლოო პროექტის შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი.	1	მომსახურების დაწყებიდან 9 კვირის ვადაში.

7. დამკვეთის წვლილი

დამკვეთი კონსულტანტს გადასცემს მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს საკონსულტაციო მომსახურებისათვის.

8. განსაკუთრებული პირობები:

სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, მათ შორის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგაც, შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, კონსულტანტი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, და საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში.

9. პროექტის ვადა:

მომსახურების მიწოდების ვადაა 2,5 თვე.